

## საკრებულოს წევრის საქმიანობის წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნატალია ძიძიგური  
საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ფრაქცია “ქართული ოცნება-კონსერვატორების“  
თავმჯდომარე  
ფრაქციის წევრობა: ფრაქცია “ქართული ოცნება-კონსერვატორების“ წევრი  
კომისიის (კომისიების) წევრობა: განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის  
საკითხთა კომისია; ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა კომისია;  
არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პროპორციული წესით  
საანგარიშგებო პერიოდი: 2017 -2018 წელი

---

### განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის  
წარმდგენი: სულ 20 სხდომა ჩატარდა , აქედან 19 სხდომას ვესწრებოდი;
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:  
173 საკითხი;
3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის  
წარმდგენმა:
  - ა). სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ მომზადებულ პეტიციას, სადაც  
ითხოვდნენ რეკრიაციულ ზონებში ბარების , რესტორნების და მძიმე კონსტრუქციების  
ასევე ეკლესიების აკრძალვას.
  - ბ). ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე რესტორან „სან-რემოს“ და მიმდებარე  
ტერიტორიის პლაჟის 49 წლით იჯარით გაცემაზე.
  - გ). განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების  
თაობაზე შპს „რივიერასათვის“.
4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა  
ანგარიშის წარმდგენმა:  
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის 14-დან 13  
სხდომაში მივიღე მონაწილეობა;  
ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა 8 კომისიის სხდომაში;
5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა  
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაზე 33  
საკითხი;  
ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა კომისიაზე 10 საკითხი;

**6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:**

ყველა საკითხი ორივე კომისიაზე ჩემს მიერ იყო მხარდაჭერილი, მაგრამ მქონდა რიგი შენიშვნები და მოსაზრებები;

**7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათი მხრიდან იქნა გათვალისწინებული რიგი ცვლილებები, რომლებიც შეტანილია ბიუჯეტში.

**8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:**

ყოველ სამუშაო დღეს ;

**9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა:**

დაახლოებით 45 ადამიანი;

**10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:**

დასაქმება, სოციალური, ჯანდაცვის საკითხებში გარკვევა და მხარდაჭერა.

**11. სხვა განხორციელებული საქმიანობები :**

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით (IRI , NDI, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA) , ქალთა საინფორმაციო ცენტრი და ა.შ) ტრენინგებზე და კონფერენციებში მონაწილეობა.

2018 -01-12 ტრენინგი გენდერული ბიუჯეტირება -„მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამის“ შემაჯამებელი შეხვედრა და დაჯილდოება

2018 -26 -09 ტრენინგი საკრებულოს წევრებისათვის ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების შესახებ

2018 -24-09 კონფერენცია - „ საკრებულოს წევრ ქალთა მე-5 ფორუმი“

2018-13 -09 „ მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრა თემაზე „ფინანსური რესურსების მოძიება“

2018 -13-06 კონსულტაციები თემაზე „ღია მმართველობის პრინციპების დანერგვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში“

2018 -18 -05 „ მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამის“ ფარგლებში დისკუსია ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ძირითადი მიდგომის და მექანიზმების შესახებ

2018 -20-03 „ მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრა თემაზე „ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და გენდერული თანასწორობა“.

ქ. ბათუმის მერიის განათლების და კულტურის კომისიის წევრი ქვეპროგრამა “ხელოვანთა ხელშეწყობის“ დაფინანსების ფარგლებში.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

**ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა :**

3 მარტი - დედის დღე ვეწვიე მისალოცად მრავალშვილიან ოჯახებს ;

8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფარს ვეწვიე და ადგილზე გავეცანი მათ საჭიროებებს;

21 მარტი - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სარეაბილიტაციო ცენტრ „თანას“ ბენეფიციარებს უმასპინძლეთ საკრებულოში;

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე მივულოცე ვეტერანებს ;

შშმ პირების მიერ ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვებზე დასწრება;

მე-14 საბავშო ბაღის აღსაზრდელებს მივულოცე ბავშვთა საერთაშორისო დღე და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას დავესწარი;

13 აგვისტოს - ქალაქში არსებული მუნიციპალური სასადილოების მონიტორინგი განვახორციელე და ადგილზე გავეცანი არსებულ სიტუაციას,;

15 სექტემბერს - მსოფლიო დასუფთავების დღე ავღნიშნეთ ინკლუზიური სწავლების ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებით;

17 სექტემბერი - ახალი სასწვლო წლის დაწყება მივულოცე 30-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს.

24 ნოემბერი - მივიღე მონაწილეობა ფონდ “ქართულ აფხაზური საგის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.

**შედეგი, ეფექტი:**

მიღებული იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე როგორცა: თვითმართველი ერთეულის განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგია, ბიუჯეტი და სხვა.

*განხორციელებული საქმიანობების შედეგად მიღებული შედეგი, მაგ. ანგარიშის წარმდგენის მიერ ინიცირებული რამდენი პროექტი იქნა მიღებული საკრებულოს მიერ, რა შესრულდა ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებებიდა*

**შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:**

თვითმართველი ერთეულის არსებული გარეგნული იერსახის გაუმჯობესება, გამწვანება, მოსახლეობის უფრო აქტიური ჩართვა და მეტი კომუნიკაცია დაგეგმარების პროცესში მათ უშუალო საჭიროებებზე დაღრდნობით.

ძირითადი პრობლემების შესწავლა შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე საკითხის დაყენების გზით.

